

## ჯიშის აღწერილობა

ადგილობრივი (აბორიგენული) ჯიში

მესხეთის მთა-ველის ეკოტიპი

კულტურა: ხორბალი

ჯიშის ადგილობრივის სახელწოდება: ახალციხის წითელი დოლის პური

ტაქსონის ბოტანიკური სახელწოდება: *Triticum aestivum* var. *ferrugineum* Alef.

გავრცელების არეალი: სამცხე-ჯავახეთში ფართედ გავრცელებული აბორიგენული ჯიშ-პოპულაციაა, რომლის გავრცელება აღწევს ზღვის დონიდან 1500 მეტრამდე.

გამოყენების სახე: ჯიში არის სასელექციო საწყისი მასალა, რომლის გენოტიპშია ჰიბრიდული ნეკროზის (Nez), წითელი ჰიბრიდული ქლოროზის (Ch2) და ქონდარობის გამაპირობებელი გენები.

მარცვალში მაღალია ცილის შემცველობა (18,8%). ფეკილისაგან პურის ცხობის უნარი არის საშუალოზე მაღალი.

არის თუ არა განსაკუთრებული პირობები ჯიშის მოსაყვანად, თუ არის მიუთითეთ რა პირობებია: ღეროს სიწვრილის და სიმაღლის გამო მაღალ აგროფონზე, სარწყავ პირობებში ახასიათებს ჩაწოლა

მახასიათებლები ხორბლის ადგილობრივი ჯიშისათვის:

ახალციხის წითელი დოლის პური - *Triticum aestivum* var. *ferrugineum* Alef

| ნიშან-თვისება                                                               | გამოხატვის ხარისხი                                                         |
|-----------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------|
| კოლეოპტილე:<br>ანტოციანური შეფერილობა                                       | არა, ან ძალიან სუსტი                                                       |
| მცენარე:<br>ბუჩქის ტიპი                                                     | ნახევრადსწორმდგომი,<br>ბარტყობა ძლიერი,<br>შეფითვლა საშუალო (სურ. 1, 2, 3) |
| მცენარე:<br>გადახრილი კენწრული ფოთლის მქონე<br>მცენარეთა სიხშირე            | საშუალოდ მტკიცე ღერო, ჩაწოლისადმი<br>არაგამძლე (სურ. 4)                    |
| დათავთავების დრო:<br>(პირველი თავთავის გამოჩენამცენარეთა 50%-ზე)            | საშუალო საადრეო                                                            |
| კენწრული ფოთოლი:<br>ცვილისებრი ნაფიფქი ფოთლის ვაგინაზე                      | არა, ან ძალიან სუსტი                                                       |
| ღერო:                                                                       | შიშველი, შეუბუსავი (სურ. 5)                                                |
| მცენარე:<br>სიმაღლე (ღერო, თავთავი, ფხები, ან ფხისმაგვარი<br>გამონაზარდები) | 100-120 სმ სიმაღლის,<br>ზამთარგამძლე, გვალვარგამძლე                        |
| ღერო: განიკვეთი (თავთავის ფუძისა და ღეროს<br>ზემო კვანძს შორის)             | საშუალოდ ამოვსებული                                                        |
| თავთავი: ფორმა პროფილში                                                     | თითისტარისებური,<br>მომწიფებისას დახრილი,<br>არაცვენადი (სურ. 6, 7, 8)     |
| თავთავი: სიმკვრივე                                                          | 20-23                                                                      |
| თავთავი: სიგრძე (ფხის და ფხისმაგვარი<br>დანართის გარეშე)                    | საშუალო, 5-9 სმ, ზოგჯერ უფრო მეტი                                          |

|                                                            |                                                                                                                              |
|------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ფხები და ფხისმაგვარი დანართები: არსებობა                   | წითელი, უხეში, დაკბილული, თავთავის სიგრძის ტოლი, მარაოსებრად განლაგებული (სურ. 9)                                            |
| ფხები და ფხისმაგვარი დანართები თავთავის წვეროზე: სიგრძე    | საშუალო სიგრძის ფხიანი (სურ. 10)                                                                                             |
| თავთავი: ფერი                                              | წითელი                                                                                                                       |
| თავთავის ღერაკის წვერის სეგმენტი                           | დახრილი ამოზურცული მხრიდან (სურ. 11)                                                                                         |
| თავთუნის ქვედა კილი: მხრის სიგანე (თავთავის შუა მესამედში) | კვერცხისებრი ზევით ოდნავ წაგრძელებული, ქედი ვიწრო, ნათლად გამოსახული მთელ სიგრძეზე, ბოლოვდება ფხისმაგვარი დანართით (სურ. 12) |
| თავთუნის ქვედა კილი: მხრის ფორმა (თავთავის შუა მესამედში)  | კილის მხარე უფრო ფართოა და აწეული                                                                                            |
| თავთუნი:                                                   | მრავალყვავილიანი, წაგრძელებული, ივითარებს 2-3 მარცვალს (სურ. 13)                                                             |
| მარცვალი: შეფერილობა                                       | მოგრძო-ოვალური, წითელი, რქისებრი ან ნახევრდ რქისებრი (სურ. 14)                                                               |
| განვითარების ტიპი                                          | საშემოდგომო                                                                                                                  |



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6





სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14

#### ლიტერატურა:

1. თავთავიანი პურეულის სარკვევი. მეთოდური დამუშავება. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, თბილისი, 1991
2. ასოციაციელკანა.  
საქართველოსაგარეოლიბიომრავალფეროვნებისელექტრონულიკატალოგი <http://catalog.elkana.org.ge/index.php>
3. პ. ნასყიდაშვილი, მ. სიხარულიძე, ე. ჩერნიში. ხორბლისსელექციასაქართველოში. თბილისი 1983
4. პ. ნასყიდაშვილი, მ. სიხარულიძე, ე. ჩერნიში - მინდვრის კულტურეთა სელექცია და მეთესლეობა, პრაქტიკულ მეცადინეობათა სახელმძღვანელო, თბილისი, 1964